

# შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**შინაარსი:**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....3

**ფინანსური ანგარიშგება**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....6  
სრული შემოსავლის ანგარიშგება .....7  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....8  
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....9

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია.....10  
2. მომზადების საფუძვლები .....10  
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....12  
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....18  
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....18  
6. ფული და ფულის ეკვივალენტები .....22  
7. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები .....22  
8. სხვა აქტივები .....22  
9. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება .....22  
10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში .....23  
11. არამატერიალური აქტივები .....25  
12. იჯარები .....26  
13. საწესდებო კაპიტალი .....26  
14. სხვა ვალდებულებები .....27  
15. ამონაგები.....27  
16. პერსონალის ხარჯები .....27  
17. სხვა ხარჯები.....27  
18. კაპიტალის მართვა .....28  
19. პოტენციური ვალდებულებები.....28  
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....29  
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....30

**მმართველობის ანგარიშგება .....31**

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი კაპიტალის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თიბისი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### მნიშვნელოვანი გარემოება - დაგეგმილი კორპორაციული რეორგანიზაცია

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს კომპანიის დაგეგმილ კორპორაციულ რეორგანიზაციას, რომლის სავარაუდო მოხდენის ვადად განსაზღვრულია 2026 წელი. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, ვინაიდან ბიზნეს ოპერაციები გაგრძელდება განსხვავებული კორპორაციული სტრუქტურის ქვეშ. მოცემულ საკითხზე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შევრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევლება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება

ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

#### **მოსაზრება**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

31 მარტი, 2026 წელი

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	12,310	7,678
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	7	8,259	5,152
სხვა აქტივები	8	1,734	944
საგადასახადო აქტივი	9	-	4
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	10	1,588	1,039
არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	11	114	241
არამატერიალური აქტივები	11	979	812
აქტივის გამოყენების უფლება	12	23	166
<b>სულ აქტივები</b>		<b>25,007</b>	<b>16,036</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	13	1,838	1,838
გაუნაწილებელი მოგება		16,504	11,918
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი		58	84
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>18,400</b>	<b>13,840</b>
<b>ვალდებულებები</b>			
საგადასახადო ვალდებულება	9	1,870	-
საიჯარო ვალდებულება	12	22	180
სხვა ვალდებულებები	14	4,715	2,016
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>6,607</b>	<b>2,196</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>25,007</b>	<b>16,036</b>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 31 მარტს შემდეგი პირის მიერ:

მმართველი დირექტორი

eSigned by:  
 თიბისი მარიქაძე: fab028c5-2437-4992-ad4c-...  
  
 Certified by Signify

ოთარ შარიქაძე

10-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
ამონაგები	15	20,436	12,544
პერსონალის ხარჯები	16	(7,785)	(5,210)
ცვეთა და ამორტიზაცია		(173)	(151)
პლატფორმისა და საინფორმაციო ბაზების სარგებლობის ხარჯი		(5,008)	(3,545)
სხვა ხარჯები	17	(3,981)	(3,407)
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>3,489</b>	<b>231</b>
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილებიდან		2,637 (142)	1,698 130
მეკავშირე საწარმოების გაუფასურება და მოგების (ზარალის) წილი	10	549	21
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>6,533</b>	<b>2,072</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(1,947)	-
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>4,586</b>	<b>2,072</b>

10-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	2025	2024
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>6,533</b>	<b>2,072</b>
კორექტირებები:		
ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილებიდან	-	8
მეკავშირე საწარმოების გაუფასურება და (მოგების) ზარალის წილი	(549)	(21)
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	57	12
ცვეთა და ამორტიზაცია	173	151
ფინანსური შემოსავალი	(2,661)	(1,726)
ფინანსური ხარჯი	24	28
არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	125
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი (მოგება) ზარალი	142	(130)
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე</b>	<b>3,719</b>	<b>519</b>
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
საგადასახადო აქტივების შემცირება (ზრდა)	(73)	48
სხვა აქტივების შემცირება (ზრდა)	(1,155)	1,139
სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	2,746	(1,371)
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადსა და პროცენტებამდე</b>	<b>5,237</b>	<b>335</b>
მიღებული პროცენტები მიმდინარე ანგარიშებიდან და მოკლევადიანი დეპოზიტიდან	2,250	1,131
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა	(24)	(28)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>7,463</b>	<b>1,438</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(313)	(135)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსი	127	(241)
პროცენტის მიღება ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხებიდან	304	548
ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	(3,000)	(2,000)
სხვა ინვესტიციის გაყიდვიდან მიღებული ფული (შესყიდვისთვის გადახდილი ფული)	259	1,487
<b>წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის</b>	<b>(2,623)</b>	<b>(341)</b>
<b>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	(33)	(29)
აქციაზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	(83)	(272)
<b>წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობისთვის</b>	<b>(116)</b>	<b>(301)</b>
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)</b>	<b>4,724</b>	<b>795</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>7,678</b>	<b>6,736</b>
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე	(92)	147
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის</b>	<b>12,310</b>	<b>7,678</b>

10-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,838</b>	<b>344</b>	<b>9,846</b>	<b>12,028</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	2,072	<b>2,072</b>
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	-	12	-	<b>12</b>
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე	-	(82)	-	<b>(82)</b>
აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი	-	-	-	-
აქციებზე დაფუძნებული გადახდის განაწილება მშობელი საწარმოსთვის	-	(190)	-	<b>(190)</b>
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით</b>	<b>1,838</b>	<b>84</b>	<b>11,918</b>	<b>13,840</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	4,586	<b>4,586</b>
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	-	57	-	<b>57</b>
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე	-	(30)	-	<b>(30)</b>
აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი	-	-	-	-
აქციებზე დაფუძნებული გადახდის განაწილება მშობელი საწარმოსთვის	-	(53)	-	<b>(53)</b>
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,838</b>	<b>58</b>	<b>16,504</b>	<b>18,400</b>

10-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიბისი კაპიტალი“ დაფუძნდა 1999 წელს. თიბისი კაპიტალი წარმოადგენს ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სს „თიბისი ბანკი“. თიბისი კაპიტალის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორაციული ფინანსებისა და საკრედიტო სარეიტინგო საკონსულტაციო მომსახურებას, სესხისა და აქციების კაპიტალის ბაზრების, საბროკერო და კვლევით მიმართულებებს. თიბისი კაპიტალი, ასევე, არის საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერი და მონაწილეობს მის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში.

კომპანიის ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიას ეროვნული ბანკისგან განსაზღვრული აქვს კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მოცულობა, რომელიც შეადგენს 500 ათას ლარს, კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, დამატებითი ინფორმაცია მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იხილეთ მე-19 განმარტებითი შენიშვნაში.

შპს „თიბისი კაპიტალის“ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა სს „თიბისი ბანკი“ 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. ძირითადი მაკონტროლებელი მხარეა საჯარო პასუხისმგებლობის კომპანია TBC Bank Group PLC, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 77 და 59 თანამშრომელი, შესაბამისად. კომპანიის მმართველი დირექტორია ოთარ შარიქაძე.

კომპანიის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #7.

#### 2. მომზადების საფუძველები

##### ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

##### ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სხვა ინვესტიციებისა, რომლის კლასიფიკაციაც არის ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით და კლიენტების მიმართ არსებული სხვა ვალდებულებებისა (იხილეთ ფინანსური ინსტრუმენტების სააღრიცხვო პოლიტიკა).

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი).

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

##### გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ნოემბერში მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა ჯგუფის შიგნით კორპორაციული რეორგანიზაციის გეგმა, რომლის განხორციელება მოსალოდნელია 2026 წელს. ოპერაცია საჭიროებს საქართველოს ეროვნული ბანკის დასტურს, რაზეც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს კომპანიასა და ეროვნულ ბანკს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2025 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება კვლავ მიზანშეწონილია. კორპორაციული რეორგანიზაცია არ გულისხმობს ლიკვიდაციას, საქმიანობის შეწყვეტას ან კლიენტების მომსახურების შეწყვეტას. აქტივებისა და ვალდებულებების რეალიზაცია და დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივ საოპერაციო პროცესში, ჯგუფის ფარგლებში.

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

აღსანიშნავია, რომ კომპანია არის მომგებიანი და ფინანსურად სტაბილური ბიზნესი, და არ არსებობს ფინანსური სირთულეების ინდიკატორები. კორპორაციული რეორგანიზაცია განპირობებულია ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნებით და არა კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული რისკებით. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

### ახალი და განახლებული ფას სტანდარტების მიღება

#### სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც პირველად ამოქმედდა 2025 წლის განმავლობაში

##### ბასს 21-ის ცვლილებები – გაცვლადობის არარსებობა

ცვლილებები ადგენს მოთხოვნებს იმ შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი სხვა ვალუტაზე კონკრეტული შეფასების თარიღისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი, საწარმო ვალდებულია დაადგინოს სპოტ-სავალუტო კურსი შეფასების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ცვლილებების მიღებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

##### გამოშვებული სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები რომლებიც არ არის ამოქმედებული

ქვემოთ წარმოდგენილია ის სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოშვებულია, თუმცა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის ამოქმედებული და კომპანიას ნაადრევად არ მიუღია.

##### სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება

ცვლილებები ითვალისწინებს:

- გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და ჩამოწერის დროის დაზუსტებას, მათ შორის გამოწვევის ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით;
- დამატებით განმარტებებსა და მითითებებს ფინანსური აქტივების შეფასებისთვის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმის (SPPI) შესაბამისად;
- ახალ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო პირობები შეიძლება იწვევდეს ფულადი ნაკადების ცვლილებას; და
- ხელშეკრულებით დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლების განმარტებას და თუ როგორ განსხვავდება ისინი არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივებისგან, ასევე მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების შეფასებისას („გადახედვის ტესტი“); და
- ცვლილებებს სამართლიან ღირებულებაზე სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში კლასიფიცირებული კაპიტალის ინსტრუმენტების გამჟღავნებაში.

##### ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები – ტომი 11

წლიური გაუმჯობესებები მოიცავს მცირე მასშტაბის ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფასს სტანდარტებში არსებული ტექსტის დაზუსტებას ან შედარებით უმნიშვნელო შეუსაბამობების, შეცდომებისა და წინააღმდეგობების გამოსწორებას. ცვლილებები შეეხება ფასს 1-ს, ფასს 7-ს, ფასს 9-ს, ფასს 10-ს და ბასს 7-ს.

##### ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის კონტრაქტები

ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას, ნებადართულს ხდის ჰეჯირების აღრიცხვას შესაბამის შემთხვევებში და შემოაქვს მიზნობრივი გამჟღავნების მოთხოვნები. ცვლილებები ვრცელდება იმ კონტრაქტებზე, რომლებიც საწარმოს აყენებს ელექტროენერჯის ფასის ცვალებადობის რისკის წინაშე ბუნებრივი, კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორების გამო.

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ცვლილებების ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის ცვლილებების გამოყენებამდე აუცილებელია მათი ოფიციალური დამტკიცება.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

### სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

#### ბასს 21-ის ცვლილებები – ჰიპერინფლაციური პრეზენტაციის ვალუტაში წარდგენა

ცვლილებები ადგენს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესებს იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს პრეზენტაციის ვალუტა ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტაა, ხოლო ფუნქციური ვალუტა არა. ცვლილებების მიზანია ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესება და პრაქტიკაში არსებული განსხვავებების შემცირება.

#### ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება

ფასს 18 შემოაქვს ახალი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების მიმართულებით, მათ შორის:

- მოგება-ზარალის ანგარიშის განახლებული სტრუქტურა და სავალდებულო შუალედური ჯამები;
- ინფორმაციის აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გაძლიერებული პრინციპები; და
- მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების მაჩვენებლების გამჟღავნების მოთხოვნები.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია კომპანიების ანგარიშგების შესადარისობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ფასს 18-მა ასევე განაპირობა მცირედი ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

#### ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება

ფასს 19 უფლებას აძლევს უფლებამოსილ შვილობილ კომპანიებს გამოიყენონ ფასს სტანდარტები შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნებით, აღიარების, შეფასებისა და წარმოდგენის პრინციპების უცვლელად შენარჩუნებით. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

#### ფასს 19-ის ცვლილებები – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება

ცვლილებები ამცირებს გამჟღავნების მოთხოვნებს გარკვეული სტანდარტებისა და ცვლილებების მიმართ, მათ შორის ფასს 18-ის, მომწოდებელთა დაფინანსების შეთანხმებების, მეორე სვეტის (Pillar Two) საგადასახადო რეფორმის, ბასს 21-ის გაცვლადობის ცვლილებებისა და ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებების ფარგლებში.

ამ ცვლილებების გამოყენების შემდეგ, ფასს 19 ასახავს IFRS საბუღალტრო სტანდარტებში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შედის ფასს 19-ის ამოქმედების თარიღამდე. შემდგომში ფასს 19 შეიცვლება იმავე დროს, როდესაც გამოიცემა ან გადაიხედება სხვა IFRS საბუღალტრო სტანდარტები.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

### უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), წმინდა“ უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

### 3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2025 და 2024 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
კურსი 2025 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6951	3.1737	3.6446
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306	3.5349

#### ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

#### შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკომისიოს ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით, ასევე საკომისიოს სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების დავალებით აქციებით ვაჭრობის მომსახურების გაწევისთვის. დეტალური საადრიცხო პოლიტიკა ამონაგების მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

#### ამონაგები ობლიგაციების გამოშვებიდან და გაყიდვიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს ობლიგაციების გამოშვებასთან, შექმენასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურებას. მომსახურება მოიცავს ორ ძირითად ვალდებულებას: ობლიგაციების განთავსებას და აგენტის მომსახურებას.

ობლიგაციის განთავსებიდან კომპანია ამონაგებს აღიარებს ობლიგაციების შემქმენისათვის გადაცემის მომენტში.

აგენტის მომსახურება მოიცავს ობლიგაციის გამოშვებასთან, შექმენასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად, ობლიგაციის დაფარვამდე, ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში ობლიგაციის ვადის პროპორციულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების შესაბამისად.

#### ამონაგები სხვა საბროკერო მომსახურებიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება. აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

#### ამონაგები საშუამავლო და ფინანსური საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საკონსულტაციო და კვლევით მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგები ობლიგაციებიდან წარმოადგენს ობლიგაციების განთავსების ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტს, თითოეული განთავსებიდან მიღებული ამონაგების დაანგარიშება ხდება აღნიშნული განაკვეთით. ობლიგაციის თანმდევი აგენტის მომსახურების წლიური ღირებულება ფიქსირებული თანხაა ყველა კლიენტისთვის.

საბროკერო პლატფორმაზე ვაჭრობის საკომისიო განსხვავდება ფინანსური ინსტრუმენტის და სავაჭრო ბირჟის მიხედვით, საკომისიო განაკვეთები ფიქსირებულია და იდენტურია ძირითადად ყველა კლიენტისთვის. დიდ კლიენტებთან ხდება ინდივიდუალური ტარიფების შეთანხმება ტრანზაქციის ზომიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე.

#### შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულ ფასიანი. კონტრაქტში თითოეული ვალდებულებისთვის მითითებულია შესაბამისი საკომისიო.

#### გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ით განსაზღვრული შემდეგი გათავისუფლება: ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწვევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

#### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს ან მოხდება დასაბეგრი მოგების სხვა სახით განაწილება. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

#### გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

#### ფინანსური ინსტრუმენტები

##### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით ასახული პირობით.

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები

##### კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის საფუძველზე, ზოგადად ეფუძნება ბიზნეს-მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ვაჭრობის მიზნით გამოყენებული ინვესტიციები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი, სხვა ინვესტიციების გარდა დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, სხვა ინვესტიციები დაკლასიფიცირდა „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

##### რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღიდან.

##### ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა კლიენტების მიმართ არსებული სხვა ვალდებულებები დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა გრძელვადიან და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განაშთავა**

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების განაშთავა მაშინ ხდება, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში, საბროკერო ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებსა და მოთხოვნამდე, 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. 3 თვეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტები აღირიცხება როგორც ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები.

**არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში, საიტი და ბუღალტრული და სხვა საოპერაციო პროგრამები (8-10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

**ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში**

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და არ გააჩნია კონტროლი. მნიშვნელოვან გავლენას როგორც წესი თან ახლავს მეკავშირე საწარმოს წილის 20-50%-ის ფლობა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოში დაბანდებულ ინვესტიციებს კომპანია აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით. კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული კომპანიის წილის შექმნის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. კომპანიის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. მიღებული დივიდენდებით მცირდება ინვესტიციის ოდენობა მეკავშირე საწარმოში.

თუ კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, კომპანია წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც კომპანიის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ კომპანიის მიერ მეკავშირე საწარმოს სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

ინვესტორსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მოგება-ზარალი, ელიმინირებულია ინვესტორის წილის პროპორციულად მეკავშირე საწარმოში.

ინვესტიციის მიმართ გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება ინვესტიციის ამოსაღები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების მეშვეობით. გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება და უქმდება იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა ხელსაყრელ ცვლილებას ამოსაღები თანხის განსაზღვრის შეფასებებში.

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

#### ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებული ნაწილი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

#### იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და

გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

#### ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია იხსნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსული მოვლენების შედეგად და რომლიდანაც კომპანია მოელის ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს აღნიშნული ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადები.** არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

#### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

#### ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,310	7,678
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	8,259	5,152
სხვა ფინანსური აქტივები	1,567	807
სხვა ვალდებულებები	4,525	1,896
საიჯარო ვალდებულებები	22	180

#### ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბიზნეს რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება. უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებებსა და შესაბამის ხელმძღვანელობაზე.

კომპანიის საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და ასევე იქნება რეგულირებასთან თანხვედრაში. რისკები ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაანეიტრალებლად.

#### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

**შპს „თიბისი კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

**5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	2025
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	5,693	6,604	13	12,310
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	8,259	-	-	8,259
სხვა ფინანსური აქტივები	202	1,365	-	1,567
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>14,154</b>	<b>7,969</b>	<b>13</b>	<b>22,136</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
სხვა ვალდებულებები	2,898	1,529	98	4,525
საიჯარო ვალდებულება	22	-	-	22
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,920</b>	<b>1,529</b>	<b>98</b>	<b>4,547</b>
<b>ღია სავალუტო პოზიცია</b>	<b>11,234</b>	<b>6,440</b>	<b>(85)</b>	

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	2024
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	670	6,445	563	7,678
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	5,152	-	-	5,152
სხვა ფინანსური აქტივები	467	320	20	807
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>6,289</b>	<b>6,765</b>	<b>583</b>	<b>13,637</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
სხვა ვალდებულებები	1,846	50	-	1,896
საიჯარო ვალდებულება	180	-	-	180
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,026</b>	<b>50</b>	<b>-</b>	<b>2,076</b>
<b>ღია სავალუტო პოზიცია</b>	<b>4,263</b>	<b>6,715</b>	<b>583</b>	

**სავალუტო რისკის მგრძობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ.

მგრძობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

2025	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%
მოგება/ (ზარალი)	1,288	(1,288)

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

#### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2024	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%
მოგება/ (ზარალი)	1,343	(1,343)

#### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასანეიტრალებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულების დაფარვის ვადა არის ერთ წელზე ნაკლები, გარდა 2024 წელს არსებული საიჯარო ვალდებულებისა.

#### ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას აქვს მოკლევადიანი ინვესტიციები აღრიცხული რეალური ღირებულებით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების, ასევე სხვა მოკლევადიანი ინვესტიციების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

#### 6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში ლარში	2,639	671
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	5,083	1,221
ფულადი სახსრები საბროკერო პლატფორმაზე	1,534	5,786
მოკლევადიანი დეპოზიტი	3,054	-
	<b>12,310</b>	<b>7,678</b>

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-5 შენიშვნაში.

კლიენტების მოზარებული აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენდა 172,688 ათას ლარსა და 150,783 ათას ლარს 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. მოცემულ მოზარებულ აქტივებზე კომპანიას არ აქვს კონტროლი და არ არის აღრიცხული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში.

#### 7. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები

კომპანიას 2025 წლის 31 დეკემბრისთვის განთავსებული ჰქონდა ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში 3 თვეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში. დეპოზიტზე არსებული პროცენტი შეადგენს 10-11.45%. დეპოზიტებისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანხა 2025 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 8,259 ათას ლარს.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის განთავსებული ჰქონდა ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში 3 თვეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში. დეპოზიტზე არსებული პროცენტი 10.2%. დეპოზიტებისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანხა 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 5,152 ათას ლარს.

#### 8. სხვა აქტივები

სხვა აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მოთხოვნა დაკავშირებული მხარის მიმართ	1,400	56
სხვა მოთხოვნები კლიენტებისგან	167	492
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	-	259
<b>არაფინანსური აქტივები</b>		
სხვადასხვა მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	100	133
სხვა	67	4
	<b>1,734</b>	<b>944</b>

#### 9. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ გადასახადები ერთიან სახაზინო კოდზე უნდა გადაიხადოს, აღნიშნული კოდი გამოიყენება ყველა სახის გადასახადისთვის. შესაბამისად, კომპანია საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს დანეტებულად. კომპანიას აქვს საგადასახადო ვალდებულება 1,870 ლარის ოდენობით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა საგადასახადო აქტივი 4 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

**შპს „თიბისი კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

**9. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება (გაგრძელება)**

დაგეგმილი კორპორაციული რეორგანიზაციის შედეგად დაგროვილ მოგებაზე დარიცხული გადასახდელი მოგების გადასახადი და მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<b>2025</b>
დაბეგრას დაქვემდებარებული წმინდა აქტივები	18,451
გათავისუფლებული შემოსავალი	(5,468)
<b>დასაბეგრი ბაზა</b>	<b>12,983</b>
<b>მოგების გადასახადის ხარჯი (დასაბეგრი ბაზა X 15%)</b>	<b>(1,947)</b>

**10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში**

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<b>2025</b>	<b>2024</b>
<b>1 იანვარი</b>	<b>1,039</b>	<b>1,018</b>
სხვა ცვლილებები მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივებში	(172)	(79)
ინვესტიციის გაუფასურების ხარჯი	-	(40)
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი წლის შედეგში	721	140
<b>2025 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>1,588</b>	<b>1,039</b>

ქვემოთ მოცემულია მეკავშირე საწარმოებზე ინფორმაცია:

<b>დასახელება</b>	<b>დაარსების ქვეყანა პირითადი საქმიანობის ადგილი</b>	<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილი</b>	<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილი</b>
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	საქართველო	17.33%	17.33%
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	საქართველო	28.41%	28.41%
სს "კავკასრეესტრი"	საქართველო	10.03%	10.03%
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	საქართველო	26.49%	26.49%

შპს „თიბისი კაპიტალი“ 2024 წელს დაკარგა მნიშვნელოვანი გავლენა სს „კავკასრეესტრზე“. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურებულია სს „კავკასრეესტრის“ ინვესტიციის წილი და კომპანია არ წარადგენს მეკავშირე საწარმოს 2025 და 2024 წლის შედეგს ფინანსურ ანგარიშგებაში.

მეკავშირე საწარმოების პირითადი საქმიანობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

<b>დასახელება</b>	<b>პირითადი საქმიანობა</b>
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადგენილ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადგენილ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალური ფორმით.

**შპს „თიბისი კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

**10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)**

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<i>სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"</i>	<i>სს "თბილისის საფონდო ბირჟა"</i>	<i>სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპო ზიტარი"</i>
<b>2025 წლის 31 დეკემბერი</b>			
მოკლევადიანი აქტივები	290	459	1,905
გრძელვადიანი აქტივები	220	2,586	763
მოკლევადიანი ვალდებულებები	9	172	82
<b>წმინდა აქტივები</b>	<b>501</b>	<b>2,873</b>	<b>2,586</b>
<b>კომპანიის წილი წმინდა აქტივებში</b>	<b>87</b>	<b>816</b>	<b>685</b>
<b>2025 წლის 31 დეკემბრისთვის</b>			
შემოსავლები	514	1,255	2,708
ხარჯები	(540)	(436)	(846)
<b>მოგება/(ზარალი)</b>	<b>(26)</b>	<b>819</b>	<b>1,862</b>
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარისგან" მიღებული დივიდენდები	100	500	-
აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	-	-	600

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<i>სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"</i>	<i>სს "თბილისის საფონდო ბირჟა"</i>	<i>სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპო ზიტარი"</i>
<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>			
მოკლევადიანი აქტივები	352	296	613
გრძელვადიანი აქტივები	222	1,926	840
მოკლევადიანი ვალდებულებები	49	99	152
<b>წმინდა აქტივები</b>	<b>525</b>	<b>2,123</b>	<b>1,301</b>
<b>კომპანიის წილი წმინდა აქტივებში</b>	<b>91</b>	<b>603</b>	<b>345</b>
<b>2024 წლის 31 დეკემბრისთვის</b>			
შემოსავლები	517	383	1,251
ხარჯები	(376)	(399)	(797)
<b>მოგება/(ზარალი)</b>	<b>141</b>	<b>(16)</b>	<b>454</b>
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარისგან" მიღებული დივიდენდები	50	249	-
აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	-	-	299

მეკავშირე საწარმოს პერიოდის შედეგში ინვესტორის მოიცავს ერთ კალენდარულ წელს ანუ პერიოდს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

**შპს „თიბისი კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

**11. არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში*	საიტი	საოპერაციო პროგრამები	სულ
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>257</b>	<b>495</b>	<b>380</b>	<b>1,132</b>
შემოსვლა	134	-	-	134
მომრაობა	(47)	47	-	-
გაუფასურება	(125)	-	-	(125)
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>219</b>	<b>542</b>	<b>380</b>	<b>1,141</b>
შემოსვლა	118	-	195	313
მომრაობა	(300)	300	-	-
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>37</b>	<b>842</b>	<b>575</b>	<b>1,454</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>				
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>(124)</b>	<b>(96)</b>	<b>(220)</b>
ამორტიზაცია	-	(62)	(47)	(109)
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>(186)</b>	<b>(143)</b>	<b>(329)</b>
ამორტიზაცია	-	(78)	(68)	(146)
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>(264)</b>	<b>(211)</b>	<b>(475)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>				
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>219</b>	<b>356</b>	<b>237</b>	<b>812</b>
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>37</b>	<b>578</b>	<b>364</b>	<b>979</b>

\* 2025 წელს არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში წარმოადგენს შიდა პროგრამის გაუმჯობესების მახასიათებლებს.

2024 წელს არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში წარმოადგენდა ვებ-გვერდი investing.tbccapital.ge -ის გაუმჯობესების მახასიათებლებს, როგორცაა:

- ანგარიშის გახსნის პროცესის ცვლილება და რედიზაინი
- რეგულაციებთან შესაბამისობის კუთხით სისტემის მოდულების განახლება.

არსებული მოდულები გამოიყენება 2025 წლიდან.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 114 (2024: 241 ათასი) ათასი ლარის არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი, რომლის შესრულების შედეგადაც კომპანია არამატერიალურ აქტივად აღიარებს საოპერაციო პროგრამას.

**შპს „თიბისი კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

**12. იჯარები**

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს ქ. თბილისში. საოფისე ფართი არის ფიქსირებული თანხის მქონე და წარმოდგენილია ლარში.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	<u>ოფისი</u>
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>206</b>
ამორტიზაცია	(40)
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>166</b>
ამორტიზაცია	(18)
მოდIFIკაცია იჯარის ვადის შემცირებაზე დაგეგმილი კორპორაციული რეორგანიზაციის გამო	(125)
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>23</b>

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<u>ოფისი</u>
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>209</b>
პროცენტის ხარჯი	28
იჯარის გადახდები	(57)
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>180</b>
მოდIFIკაცია იჯარის ვადის შემცირებაზე დაგეგმილი კორპორაციული რეორგანიზაციის გამო	(125)
პროცენტის ხარჯი	24
იჯარის გადახდები	(57)
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>22</b>

საიჯარო გადასახდელები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

<b>2025 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3 თვემდე</b>	<b>3-დან 12 თვემდე</b>	<b>სულ</b>
საიჯარო ვალდებულებები	14	9	<b>23</b>

საიჯარო გადასახდელები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3 თვემდე</b>	<b>3-დან 12 თვემდე</b>	<b>1-დან 2 წლამდე</b>	<b>2-დან 5 წლამდე</b>	<b>სულ</b>
საიჯარო ვალდებულებები	14	43	57	128	<b>242</b>

**13. საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	<u>%</u>	<u>31 დეკემბერი 2025</u>	<u>%</u>	<u>31 დეკემბერი 2024</u>
სს „თიბისი ბანკი“	100%	1,838	100%	1,838
	<b>100%</b>	<b>1,838</b>	<b>100%</b>	<b>1,838</b>

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

#### 14. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
თანამშრომელთათვის გადასახდელი ბონუსები	2,805	1,491
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,208	-
სახელმწიფრო ვალდებულებები	190	120
სხვა ვალდებულებები	512	405
	<b>4,715</b>	<b>2,016</b>

\* სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ დაიფარა 2026 წლის იანვარში.

#### 15. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2025	2024
საკომისიო ობლიგაციების განთავსებიდან	10,812	4,843
საკომისიო საბროკერო საქმიანობიდან	6,556	5,731
საშუამავლო და ფინანსური საკონსულტაციო მომსახურება	2,913	1,741
სხვა საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურება	155	229
	<b>20,436</b>	<b>12,544</b>

#### 16. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2025	2024
ხელფასები	(4,844)	(3,545)
ბონუსები და სხვა სარგებელი	(2,884)	(1,653)
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	(57)	(12)
	<b>(7,785)</b>	<b>(5,210)</b>

#### 17. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2025	2024
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო ხარჯები	(981)	(880)
მარკეტინგის ხარჯი	(898)	(1,030)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(858)	(301)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სერვისები	(705)	(533)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	(73)	-
დოუ ჯონსის გამოცემის გამოწერა	-	(126)
არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	(125)
კლიენტების საბროკერო ანგარიშებზე ზარალის კომპენსაცია	-	(55)
სხვა ხარჯები	(466)	(357)
	<b>(3,981)</b>	<b>(3,407)</b>

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

#### 18. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

კომპანია 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 500 ათას ლარზე ნაკლები.

#### 19. პოტენციური ვალდებულებები

##### სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა, 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

##### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

კომპანიამ 2025 წელს დაგეგმილ კორპორაციულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აღიარა მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი.

##### საქართველოს ეროვნულ ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა

კომპანიის ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე N145/04 ბრძანებაში.

N145/04 ბრძანება, სხვა საკითხებთან ერთად საბროკერო კომპანიებს ავალდებულებს, რომ მოახდინონ საკუთარი და კლიენტების აქტივების გამიჯვნა და რეკონსილაცია. კომპანია სრულად აკმაყოფილებს რეკონსილაციის მოთხოვნას, ხოლო აქტივების გამიჯვნის კუთხით, მოთხოვნები დაკმაყოფილდა 2026 წლის იანვარში.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი პერიოდულად ახდენს კომპანიის შემოწმებას, რომლის საფუძველზეც კომპანია შეიძლება დაჯარიმდეს და/ან მიიღოს რეკომენდაციები, რომლის შესრულების თაობაზე კომპანიას მუდმივი კომუნიკაცია აქვს ეროვნულ ბანკთან, თანხმდება სამოქმედო გეგმა, რაზეც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

**შპს „თიბისი კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

**20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

		<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>31 დეკემბერი 2024</b>
	<b>ურთიერთობის ტიპი</b>	<b>დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები</b>	<b>დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები</b>			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	10,776	1,331
<b>ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები</b>			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	8,259	5,152
<b>სხვა აქტივები</b>			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	982	56
სს „თიბისი უზბეკეთი“	სხვა დაკავშირებული მხარე	197	-
სს „თიბისი ლიზინგი“	სხვა დაკავშირებული მხარე	200	-
<b>სხვა ვალდებულებები</b>			
TBC Bank Group PLC	საბოლოო მაკონტროლებელი	8	-
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	მეკავშირე საწარმო	13	-
სს „თიბისი ლიზინგი“	სხვა დაკავშირებული მხარე	17	-
დირექტორი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	254	72
<b>საიჯარო ვალდებულებები</b>			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	22	180

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

#### 20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებში აღიარებულ თანხებს:

		2025	2024
	ურთიერთობის ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები
<b>ამონაგები</b>			
სს „თიბისი ლიზინგი“	სხვა დაკავშირებული მხარე	1,250	112
TBC Bank Group PLC	საბოლოო მკონტროლებელი	1,992	3,849
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	4,277	606
	სს „თიბისი ბანკის“	14	15
ბუცბრიკიძე ვახტანგი	გენერალური დირექტორი		
სს „თიბისი დაზღვევა“	სხვა დაკავშირებული მხარე	24	26
სს „თიბისი უზბეკეთი“	სხვა დაკავშირებული მხარე	197	450
<b>სხვა ხარჯები</b>			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	(1,159)	(70)
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	2,661	1,726

დირექტორების და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება 2025 და 2024 წელს შეადგენდა 717 ათას ლარსა და 842 ათას ლარს, შესაბამისად.

#### 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2026 წლის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ირანსა და ისრაელს შორის სამხედრო კონფლიქტის ესკალაციამ და აღნიშნულ მოვლენებზე საერთაშორისო რეაგირებამ გაზარდა რეგიონში გეოპოლიტიკური დამაბულობა. მიმდინარე სამხედრო მოქმედებები და საერთაშორისო პოლიტიკური რეაგირება შესაძლოა გავლენას ახდენდეს საერთაშორისო ეკონომიკურ გარემოზე. მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობაზე, ფინანსურ ბაზრებზე და ენერჯორესურსების გლობალურ ფასებზე, განსაკუთრებით ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზრებზე.

საჯაროდ ხელმისაწვდომი ანალიტიკური შეფასებების მიხედვით, აღნიშნული კონფლიქტის პირდაპირი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ამ ეტაპზე სავარაუდოდ შეზღუდულია, რადგან ირანთან საქართველოს ეკონომიკური კავშირები შედარებით მცირეა. თუმცა გლობალურ ბაზრებზე ენერჯორესურსების ფასების მერყეობამ, რეგიონულმა გეოპოლიტიკურმა დამაბულობამ და საერთაშორისო ვაჭრობის პირობების შესაძლო ცვლილებამ შესაძლოა ირიბად იმოქმედოს ეკონომიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ამ ეტაპზე არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული მოვლენები არსებით გავლენას იქონიებს კომპანიის ოპერაციებზე ან ფინანსურ შედეგებზე. თუმცა, არსებული გაურკვევლობის გათვალისწინებით, კომპანია ყურადღებით აკვირდება მიმდინარე მოვლენებს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

მმართველობითი ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

---

## შპს „თიბისი კაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წელი



## სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა .....	33
1.1 ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ .....	33
1.2 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა .....	34
1.3 ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ .....	34
1.4 ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები .....	34
1.5 ინფორმაცია საკუთარი აქციების შექმნის შესახებ .....	35
1.6 წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები .....	35
1.7 კომპანიის განვითარების გეგმები .....	35
1.8 ძირითადი რისკები და გაურკვეველობები .....	35
1.8.1 მაკროეკონომიკური მიმოხილვა .....	36
1.8.2 საოპერაციო რისკი .....	36
1.8.3 საბაზრო რისკი .....	36
1.8.4 ლიკვიდურობის რისკი .....	37
1.8.5 საკრედიტო რისკი .....	37
2. მმართველობითი სტრუქტურა .....	37
2.1 მმართველობითი ორგანოები .....	37
2.2 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა .....	38
3. სხვა არაფინანსური საკითხები .....	38
3.1 არაფინანსური საკითხები .....	38
3.1.1 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები .....	38
3.1.2 სოციალური და დასაქმების საკითხები .....	39
3.1.3 ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები .....	40
3.1.4 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები .....	40

## 1. საქმიანობის მიმოხილვა

### 1.1 ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „თიბისი კაპიტალი“ (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თიბისი კაპიტალი საინვესტიციო საბანკო სფეროს წამყვანი პროვაიდერია, რომელიც კლიენტებს საბროკერო და ფინანსური საკონსულტაციო პერსონალიზებული მომსახურებების ფართო სპექტრს სთავაზობს. კომპანია ემსახურება მაღალშემოსავლიან პირებს, საცალო ინვესტორებს, იურიდიულ პირებს და საფინანსო დაწესებულებებს მთელს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში. თიბისი კაპიტალი, ასევე, არის საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერი და მონაწილეობს მის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „თიბისი კაპიტალის“ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“. ძირითადი მკონტროლებელი მხარე არის საჯარო პასუხისმგებლობის კომპანია TBC Bank Group PLC, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში.

თიბისი კაპიტალი ოთხ ძირითად მიმართულებას აერთიანებს:

- კაპიტალის ბაზრებთან დაკავშირებული კონსულტაცია (სავალო კაპიტალის ბაზარი/სააქციო კაპიტალის ბაზარი);
- კორპორაციულ ფინანსებთან დაკავშირებული კონსულტაცია;
- საბროკერო მომსახურება;
- კვლევები.

### კაპიტალის ბაზრებთან დაკავშირებული კონსულტაცია

საქართველოს სავალო კაპიტალის ბაზარი განაგრძობს განვითარებას, რაც გამოწვეულია ადგილობრივი კორპორატიული ემიტენტების მზარდი ინტერესით. 2025 წელი ადგილობრივი საჯარო ობლიგაციების ბაზრისთვის რეკორდული იყო, ბაზარზე 1.5 მილიარდი ლარის მოცულობის საჯარო ობლიგაციები განთავსდა, საიდანაც კომპანიამ 75%-ში მიიღო მონაწილეობა. თიბისი კაპიტალმა ლიდერობა შეინარჩუნა საქართველოს ობლიგაციების ბაზრის ყველა ძირითად სეგმენტში, 53.7%-იანი ბაზრის წილით<sup>1</sup>.

2025 წელს თიბისი კაპიტალი Global Finance-მა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ობლიგაციების გამოსაშვებად საუკეთესო ბანკად, საქართველოში კი საუკეთესო საინვესტიციო ბანკად დაასახელა.

### კორპორაციულ ფინანსებთან დაკავშირებული კონსულტაცია

კორპორაციულ ფინანსებთან დაკავშირებული მომსახურება მოიცავს შერწყმისა და შექმნის პროცესების მართვას როგორც მყიდველის, ასევე გამყიდველის პოზიციაში მყოფი კომპანიებისთვის. ინდუსტრიული კვლევის, ბაზრისა და პოტენციური სინერგიების ანალიზით განისაზღვრება გარიგების ფასი და ოპტიმალური სტრუქტურა, რათა კლიენტებმა მაქსიმალურად გამოიყენონ საინვესტიციო შესაძლებლობები. გარდა ამისა, თიბისი კაპიტალი კომპანიებს სთავაზობს ბიზნესის ან აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასების ანგარიშის მომზადებას. ასევე, კომპანია კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საკითხზე კონსულტაციის გაწევას, როგორებიცაა: შიდა ბონუსების გამოთვლა, შერწყმა-შექმნის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადამოწმება და სხვა. მომსახურება მოიცავს როგორც საკონსულტაციო სერვისს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ანგარიშის მომზადებას. 2025 წელს კომპანიამ წარმატებით განახორციელა რამდენიმე საკმაოდ მსხვილი ტრანზაქცია.

### საბროკერო მომსახურება

2025 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თიბისის მობაილ ბანკში არსებულ ინვესტიციების მოდული. პლატფორმა მომხმარებლებს სთავაზობს მარტივად, საკომისიოების გარეშე ინვესტირების შესაძლებლობას 6,500-ზე მეტ აქციასა და ბირჟაზე ვაჭრობად ფონდში (ETF), რომლებიც წარმოდგენილია ამერიკულ საფონდო ბირჟებზე. შედეგად, თიბისის მობაილ ბანკი პოზიციონირებულია როგორც საქართველოში ყველაზე სრულყოფილი და მომხმარებელზე ორიენტირებული საინვესტიციო პლატფორმა. წლის განმავლობაში, ასევე განახლდა თიბისი კაპიტალ Trader-ის სავაჭრო აპლიკაცია. აღნიშნული პლატფორმა ინვესტორებს საშუალებას აძლევს ივაჭრონ მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე დალისტული ფასიანი ქაღალდებით, ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტზე, ანალიტიკურ მაჩვენებლებსა და ვაჭრობის პროცესში სრულყოფილი ანალიზისათვის საჭირო სხვადასხვა ფუნქციონალზე.

<sup>1</sup> 2025 წლის ბაზრის წილის დაანგარიშება მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო კორპორატიული ობლიგაციების განთავსებას ადგილობრივ ბაზარზე, გარდა back-to-back ტრანზაქციებისა, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების და ევროობლიგაციების ტრანზაქციებს. ბაზრის წილი დათვლილია განთავსებული ობლიგაციების მოცულობის მიხედვით.

## შპს „თიბისი კაპიტალი“

### მმართველობითი ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

#### 1.1 ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

##### კვლევები

თიბისი კაპიტალის კვლევითი მიმართულება დღეს საქართველოში ბიზნესზე ორიენტირებული ეკონომიკური ანალიზის მთავარი წყაროა. კვლევითი მიმართულება უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმდებ პირებს ამომწურავი და დროული მაკროეკონომიკური და სექტორული ანალიზით, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს, ისე რეგიონის ფართო კონტექსტს. რეპორტების ჩამონათვალი მოიცავს რეგულარულად გამოქვეყნებულ კვირეულ, თვიურ და კვარტალურ პუბლიკაციებს. კვლევითი მიმართულების მიზანია, მაკროეკონომიკური ტენდენციები და გლობალური პროცესები კონკრეტულ ბიზნეს გადაწყვეტილებებზე აქციოს. თიბისი კაპიტალის კვლევითი მიმართულება ატარებს ინდივიდუალურად მორგებულ კვლევებს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებისთვის. 2025 წელს კვლევითმა მიმართულებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საქმიანობა. წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა მოიცვა როგორც ინოვაციური, ისე მაღალი ინტერესის მქონე თემები - საქართველოს მზის ენერჯის პოტენციალიდან და ლოჯისტიკის სექტორიდან დაწყებული, ქვეყნის ტრანზიტული როლი ტრანსფორმაციითა და საქართველოს ეკონომიკაზე გლობალური პროცესების გავლენით დასრულებული.

#### 1.2 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2025 წლის განმავლობაში თიბისი კაპიტალმა უმასპინძლა 12 კონფერენციას, რომელსაც ესწრებოდა 2,500-ზე მეტი წარმომადგენელი როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კორპორატიული სექტორიდან. მთლიანობაში, თიბისი კაპიტალმა 200-მდე პუბლიკაცია გამოსცა 2025 წელს. ტრადიციული პუბლიკაციების გარდა, წლის განმავლობაში თიბისი კაპიტალმა გააფართოვა კომუნიკაციის არხები ვებინარებისა და ახალი ვიდეო სერიების საშუალებით. ასევე, 2025 წელს დაინერგა „Q&A with TBC Capital“, ინტერაქციული პლატფორმა, რომელიც გამოიწერებს აძლევს საშუალებას დასვან კითხვები და მიიღონ კვლევებსა და მონაცემებზე დაფუძნებული პასუხები.

#### 1.3 ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

#### 1.4 ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

##### ფინანსური მაჩვენებლები:

*ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
შემოსავალი	20,436	12,544
წმინდა მოგება	6,533	2,072
შემოსავალი საშუალო მთლიან კაპიტალზე	127%	97%
	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მთლიანი აქტივები	25,007	16,036
მთლიანი ვალდებულებები	6,607	2,196
მთლიანი კაპიტალი	18,400	13,840

##### არაფინანსური მაჩვენებლები:

*ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
პირველად ბაზარზე ობლიგაციების განთავსების მოცულობა	1,663,635	642,628
თანამშრომლების რაოდენობა	77	59

### 1.5 ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2025 და 2024 წლებში არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

### 1.6 წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

### 1.7 კომპანიის განვითარების გეგმები

თიბისი კაპიტალის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია ბაზრის წილის ზრდა, ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება, კლიენტებისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზება, კვლევების მიმართულებით საინტერესო სექტორების დაფარვა და ა.შ. თიბისი კაპიტალი ყოველთვის ცდილობდა ინოვაციისა და სერვისის ხარისხის საფუძველზე მოწინავე პოზიციის შენარჩუნებას.

შემდგომი წლის მიზნებია:

- კიდევ უფრო განიმტკიცოს ობლიგაციების პირველადი განთავსების ბაზარზე მოწინავე პოზიციები;
- კიდევ უფრო მეტად გაიმყაროს პოზიციები კლიენტების მართვაში არსებული აქტივების (AUM) მიმართულებით;
- ეტაპობრივად საბროკერო მიმართულებით კლიენტებს შესთავაზოს ახალი საინტერესო პროდუქტები და გააუმჯობესოს არსებული.

2025 წლის ნოემბერში თიბისი კაპიტალის მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა ჯგუფის შიგნით კორპორაციული რეორგანიზაციის გეგმა, რომლის განხორციელება მოსალოდნელია 2026 წელს.

### 1.8 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს ჩარჩოს, რომელიც მოიცავს პოლიტიკებს, პროცესებს, ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებსა და კონტროლის მექანიზმებს. აღნიშნული სისტემა ემსახურება კომპანიის სტრატეგიული და ოპერაციული მიზნების მიღწევას, მდგრადობისა და გრძელვადიანი ღირებულების შენარჩუნებას. მისი ძირითადი დანიშნულებაა:

- დროულად იდენტიფიცირდეს, შეფასდეს და მონიტორინგს დაექვემდებაროს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი;
- უზრუნველყოფილ იქნას რისკების პროპორციული და ეფექტიანი მართვა, რომელიც შეესაბამება კომპანიის რისკისადმი ტოლერანტობასა და რეგულატორულ მოთხოვნებს;
- ხელი შეეწყოს ინფორმირებულ და დაბალანსებულ გადაწყვეტილებების მიღებას ყველა დონეზე;
- გაძლიერდეს რისკებისადმი ცნობიერება და პასუხისმგებლობა ორგანიზაციის ყველა რგოლში;
- უზრუნველყოფილ იქნას გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და უწყვეტი გაუმჯობესება რისკების მართვის პროცესებში.

რისკების სრულყოფილად მართვის მიზნით, კომპანია იყენებს დაცვის სამი ხაზის მოდელს:

**დაცვის პირველი ხაზი:** ბიზნეს ხაზები და საოპერაციო მართვა, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას.

პირველი ხაზი პასუხისმგებელია რისკებისა და კონტროლის მექანიზმების მართვაზე, რაც ხორციელდება შიდა პოლიტიკების, პროცედურებისა და მონიტორინგის პროცესების საშუალებით. აღნიშნული ხელს უწყობს რისკების პრევენციასა და შემცირებას.

**დაცვის მეორე ხაზი:** რისკების მართვის ფუნქციები უზრუნველყოფენ რისკების ეფექტურ მართვასა და კონტროლს გამოცდილების კონსოლიდაციით, რისკების გამოვლენით, გაზომვით, მონიტორინგით, ასევე პირველი ხაზისთვის მხარდაჭერის გაწევით. ისინი მოქმედებენ ბიზნეს მიმართულებებისგან დამოუკიდებლად და უზრუნველყოფს რისკების ეფექტური მართვის ჩარჩოებსა და ინსტრუმენტებს.

**დაცვის მესამე ხაზი:** შიდა აუდიტი განცალკევებული და დამოუკიდებელი ფუნქცია, რომელიც განყენებულია დაცვის პირველი და მეორე ხაზებისგან, ის უზრუნველყოფს რწმუნებულებას მენეჯმენტის წინაშე ორგანიზაციის (როგორც დაცვის პირველი, ასევე მეორე ხაზის) საქმიანობებთან დაკავშირებით.

### 1.8.1 მაკროეკონომიკური მიმოხილვა

2021-2024 წლებში საშუალოდ 9.8%-იანი ზრდის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური აქტივობა 2025 წელსაც შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნდა და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ, საქსტატის მონაცემებით, 7.5% შეადგინა. ეკონომიკურ ზრდაში მთავარი წვლილი საბანკო დაკრედიტებისა და ხელფასების გარკვეულწილად ნორმალიზებულმა, თუმცა მაინც მნიშვნელოვანმა ზრდამ და საქონლის ექსპორტიდან, ფულადი გზავნილებიდან და ტურიზმიდან მიღებული სავალუტო შემოდიანების გაზრდილმა ნაკადებმა შეიტანა, რის გამოც, საქონლის იმპორტის შედარებით სუსტი დინამიკის ფონზე, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი რეკორდულ ნიშნულამდე გაუმჯობესდა. ამასთან, აშშ დოლარის გლობალურად დასუსტებამ, უცხოური ვალუტის წმინდა შემოდიანების ზრდამ და დეპოზიტების ლარიზაციის ზრდის დინამიკამ, საქართველოს ეროვნულ ბანკს საერთაშორისო რეზერვების შევსების საშუალება მისცა - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2025 წლის განმავლობაში 2.4 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შეისყიდა, რის შედეგადაც, ქვეყნის მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა, დეკემბრის ბოლოსთვის, 6.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია და წლიურად 38.4%-ით გაიზარდა. ამ ფონზე, წლის განმავლობაში, ლარი აშშ დოლარის მიმართ 4.1%-ით გამყარდა.

ამავდროულად, როგორც გლობალურად, ასევე ადგილობრივად, სურსათზე გაზრდილი ფასების გავლენით, 2025 წელს ქვეყანაში ინფლაცია საშუალოდ 3.9%-მდე აჩქარდა და ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე დონეს გარკვეულწილად გადააჭარბა. ამ ფონზე, მაღალი ეკონომიკური ზრდის, გეოპოლიტიკური რისკებისა და გაზრდილი ინფლაციის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წლის განმავლობაში უცვლელად, 8.0%-ზე შეინარჩუნა.

### 1.8.2 საოპერაციო რისკი

შპს „თიბისი კაპიტალი“ აღიარებს საოპერაციო რისკების მართვის მნიშვნელობას, როგორც კომპანიის მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების აუცილებელ წინაპირობას.

კომპანიისთვის ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს საოპერაციო რისკი. საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ზარალის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შიდა პროცესების, ადამიანური რესურსების, სისტემების ან გარე მოვლენების არასათანადო ან წარუმატებელი ფუნქციონირების შედეგად. საოპერაციო რისკი ასევე გულისხმობს იმ ზარალს, რომელიც გამოწვეულია იურიდიული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით.

კომპანიაში მოქმედებს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც ასახავს საოპერაციო რისკების მართვის ზოგად პრინციპებს და განსაზღვრავს პროცესში ჩართული სხვადასხვა მხარის ფუნქციონირების მოვალეობებს.

კომპანიაში დანერგილია შიდა პოლიტიკა და პროცედურები, კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს საოპერაციო რისკების პრევენციასა და შემცირებას. რისკების იდენტიფიკაცია, შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება სისტემატურად, რაც უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას პოტენციურ საფრთხეებზე.

ადამიანური შეცდომების, პროცესული ხარვეზების ან სისტემური წარუმატებლობის პრევენციის მიზნით, კომპანია ახორციელებს შიდა კონტროლის მექანიზმების გამლიერებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ორგანიზაციაში რისკის კულტურის გამლიერებას. შემუშავებულია ცნობიერების ამაღლების პროგრამა და თანამშრომლებს უტარდებათ რეგულარული ტრენინგები.

შიდა აუდიტის ფუნქცია უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების დამოუკიდებელ შეფასებას.

### 1.8.3 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის შედეგებზე. საბაზრო რისკი ძირითადად წარმოიქმნება სავაჭრო საქმიანობებიდან. იგი მოიცავს აქციების გადაფასებასთან დაკავშირებულ ზარალის რისკს, ასევე საპროცენტო განაკვეთებისა და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ ზარალს, რაზეც ბაზრის ცვალებადობა ახდენს გავლენას.

### 1.8.3 საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი წარმოიქმნება უცხოური ვალუტის კურსის პოტენციური ცვლილების შედეგად. აღნიშნული რისკი გამომდინარეობს უცხოური ვალუტის აქტივებსა და ვალდებულებებში შეუსაბამობების გამო შექმნილი ღია სავალუტო პოზიციებიდან. კომპანიის ხარჯების უმეტესი ნაწილი ლარშია, შემოსავლების უმეტესი ნაწილი კი უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, ლარის გაუფასურება დადებითად მოქმედებს ფინანსურ შედეგებზე. თიბისი კაპიტალი აფასებს და აკონტროლებს სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად წარმოშობილ რისკს და ამ რისკზე მოქმედ ფაქტორებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების შედეგად. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ზეგავლენა კომპანიაზე არ არის არსებითი.

### 1.8.4 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასანეიტრალებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

### 1.8.5 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასანეიტრალებლად.

## 2. მმართველობითი სტრუქტურა

### 2.1 მმართველობითი ორგანოები

თიბისი კაპიტალის მმართველი ორგანოებია საერთო კრება და ხელმძღვანელი ორგანო. მმართველი ორგანოები და მათი წევრები საქმიანობას ახორციელებენ და გადაწყვეტილებებს იღებენ მხოლოდ კანონით ან/და კომპანიის წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება, რომელიც ტარდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხებზე, რომლებიც კანონით ან კომპანიის წესდებით პარტნიორთა საერთო კრების უფლებამოსილებას მიეკუთვნება. მათ შორის მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება კომპანიის წესდების ცვლილება/ახალი რედაქციის მიღება და ხელმძღვანელი პირების თანამდებობაზე დანიშვნა.

კომპანიას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება ერთი ხელმძღვანელი პირისგან. ხელმძღვანელი პირი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონის ან კომპანიის წესდების თანახმად, არ განეკუთვნება პარტნიორთა კომპეტენციას. მათ შორის, ხელმძღვანელი პირი პასუხისმგებელია დასკვნითი ანგარიშების, მოგება-ზარალის ანგარიშის (წლიური ანგარიში) და კომპანიის წლიური ბალანსის შედგენაში. ხელმძღვანელი პირი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიან განხორციელებაზე. ის უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიული და ოპერატიული მიზნების შესრულებას, მათ შორის კომპანიის საქმიანობის ორგანიზებას, მიმდინარე პროცესების ზედამხედველობასა და შიდა რესურსების მართვას.

## 2.1 მმართველობითი ორგანოები (გაგრძელება)

კომპანია იცავს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე და ხელმძღვანელობს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. კომპანია იცავს თავისუფალი კონკურენციის პრინციპებსა და ფინანსური ბაზრის რეგულირების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და ახორციელებს რისკების მართვის ადეკვატურ სისტემას. კომპანია არის ლიცენზირებული საბროკერო კომპანია და ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებასა და ზედამხედველობას. საბროკერო კომპანიებისათვის საზედამხედველო ორგანოს არ აქვს განსაზღვრული კორპორაციული მართვის კოდექსი. შესაბამისად, კომპანია მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის და შიდა პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად.

## 2.2 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების მიხედვით კომპანია ამზადებს და წარადგენს კვარტლურ ფინანსურ ანგარიშგებას. გარდა ამისა, ყოველწლიურად კომპანია ვალდებულია მოიწვიოს გარე აუდიტი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატაროს გარეაუდიტორული შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიას გამართული აქვს შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემები, რომლებიც მოიცავს ანგარიშგების მომზადების პროცესისთვის დოკუმენტირებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს, ფინანსურ და ოპერაციულ გუნდებს შორის პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, პერიოდულ შიდა მონიტორინგს და მენეჯმენტის მხრიდან კონტროლს.

## 3. სხვა არაფინანსური საკითხები

### 3.1 არაფინანსური საკითხები

ამჟამად, კომპანიაში გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები რეგულირდება სხვადასხვა შიდა დოკუმენტებით და პროცესებით, მათ შორის კომპანიის ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკით, ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და AML პოლიტიკებით.

კომპანიაში დანერგილია თანამშრომელთა ტრენინგისა და ტესტირების ყოველწლიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ESG სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული სისტემა მიზნად ისახავს გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, თანამშრომელთა კომპეტენციების გაძლიერებას და ორგანიზაციული კულტურის მდგრად განვითარებას.

### 3.1.1 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

შპს „თიბისი კაპიტალი“ ESG საკითხების მართვას განიხილავს როგორც კომპანიის გრძელვადიანი მდგრადობისა და ღირებულებებზე დაფუძნებული საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. ESG სტრატეგია მოიცავს კომპანიის მიზნებსა და ინიციატივებს, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან, მის პირდაპირ და არაპირდაპირ გარემოსდაცვით ზემოქმედებასთან და მდგრად განვითარებასთან. ESG სტრატეგია ასევე ფარავს კლიენტებს, თანამშრომლებს, თანამშრომლებთან ურთიერთობას, ტალანტების მართვას, სამუშაო გარემოს მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობას. ESG სტრატეგიას ამტკიცებს კომპანიის დირექტორი, ხოლო სტრატეგიაში დასახული მიზნების განხორციელებაზე პასუხისმგებელია რისკების მართვის მიმართულება.

კომპანიაში მოქმედებს ჯგუფის პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციის მიდგომას გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან მიმართებით. აღნიშნული პოლიტიკების დამტკიცება ხდება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ.

### პირდაპირი გარემოსდაცვითი ზემოქმედება

შპს „თიბისი კაპიტალი“ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში ახორციელებს ქაღალდისა და პლასტმასის შეგროვებას მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს კომპანიის გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრაქტიკულ გამოხატულებას, მიზნად ისახავს ნარჩენების შემცირებას და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის მიზანია ESG სტრატეგიის მხარდაჭერა, საჭირო ქმედებების ინტეგრირება ოპერაციებსა და მართვის პროცესებში.

### 3.1.1 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები (გაგრძელება)

#### არაპირდაპირი გარემოსდაცვითი ზემოქმედება

კაპიტალის ბაზრები - 2025 წელი, როგორც თიბისი კაპიტალისთვის, ასევე მთლიანად ბაზრისთვის სარეკორდო იყო ESG განთავსებების კუთხითაც. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში კომპანიის ჩართულობით განთავსებული 1.1 მილიარდი ლარის მოცულობის ადგილობრივი საჯარო ობლიგაციებიდან უმეტესობა, 0.6 მილიარდი ლარი (დაახლ. 55%) სწორედ ESG განთავსებებზე მოდიოდა. ამ მიმართულებით, წლის განმავლობაში კომპანიის DCM-ის გუნდი ჩართული იყო რამდენიმე მსხვილ ტრანზაქციაში, კერძოდ, თიბისი კაპიტალმა მხარი დაუჭირა ჯანდაცვის სექტორის კომპანიას რეკორდული 350 მილიონი ლარის სოციალური ობლიგაციების ემისიაში, ასევე, კომპანიის მხარდაჭერით საავტომობილო სექტორში მოქმედმა ემიტენტმა შეძლო ლარში დენომინირებული უმსხვილესი მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების ემისია - 260 მილიონი ლარი.

კვლევების მიმართულება - 2025 წელს კვლევების მიმართულებამ ფართო აუდიტორიას წარუდგინა სპეციალური ანგარიში - „მზის ენერჯია საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში“. პრეზენტაციაში განხილული იყო მზის ენერჯის გლობალური ტენდენციები, შეფასებული იყო საქართველოს მზის ენერჯის პოტენციალი და გაანალიზებული იყო ადგილობრივ ბაზარზე მზის ელექტროსადგურების დაფინანსების პირობები და მოსალოდნელი მომგებიანობა. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს ამ სექტორში საქართველოში ჩატარებულ პირველ მასშტაბურ და კომპლექსურ ანალიზს. ანგარიში წარდგენილ იქნა სექტორზე ფოკუსირებულ ღონისძიებაზე, რომელსაც დაახლოებით 300 მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის ენერგეტიკის სექტორის მოქმედი და პოტენციური ინვესტორები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები. პრეზენტაციამ ხელი შეუწყო ბაზრის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარებასა და საქართველოში მზის ენერჯის განვითარების პერსპექტივებზე დისკუსიას. კვლევის ძირითადი შედეგები ასევე წარდგენილ იქნა ვებინარის ფორმატში, სადაც მოწვეული სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა საქართველოს განახლება ენერჯის განვითარების ასოციაცია (GREDA). გარდა ამისა, ანგარიში გაზიარდა თიბისი კაპიტალის გამომწერთა ბაზაზე.

### 3.1.2 სოციალური და დასაქმების საკითხები

თიბისი კაპიტალში დასაქმების მსურველთათვის შექმნილია ღია პლატფორმა, სადაც თავსდება კომპანიაში არსებული ვაკანსიები და ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება შერჩევაში მიიღოს მონაწილეობა. შერჩევა შედგება რამდენიმე ეტაპისგან და მოიაზრებს ტესტირების ეტაპს, სადაც ვლინდება კანდიდატის ტექნიკური უნარები, გასაუბრების და დავალების ეტაპებს, სადაც ვლინდება კანდიდატის ლოგიკური აზროვნება, პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები. ასეთი ტიპის შერჩევა მსურველს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. სამუშაო პირობები სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს და დაწესებულ შეზღუდვებს.

კომპანიაში ორგანიზაციული სტრუქტურა მაქსიმალურად მიახლოებულია საერთაშორისო მსგავსი საინვესტიციო ინსტიტუციების მოწყობასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის მართვის საუკეთესო მოდელი.

თიბისი კაპიტალში არსებობს პოზიციების კარიერული გზა, რომელიც თანამშრომელს საშუალებას აძლევს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს მის სამომავლო განვითარების შესაძლებლობაზე. ამას ასევე ხელს უწყობს ორგანიზაციაში არსებული პროცესები მათ შორის, დაწინაურების განხილვის ყოველწლიური პროცესი, რომელიც ხორციელდება განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

კომპანიის ადამიანური რესურსების მიმართულება ყოველწლიურად იკვლევს სახელფასო ბაზარს, რათა ორგანიზაციაში არსებული სახელფასო ზღვრები სრულად შეესაბამებოდეს ბაზრის მოთხოვნებს და იყოს კონკურენტუნარიანი. ეს ერთის მხრივ კომპანიას ეხმარება შეინარჩუნოს არსებული თანამშრომლები და მოიზიდოს ბაზარზე არსებული საუკეთესო ტალანტები.

თანამშრომელთა შენარჩუნებისა და განვითარებისათვის კომპანიაში ასევე არსებობს ტრენინგების და სწავლების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებს უფინანსდება პროფესიული გადამზადების კურსები, მაგ. CFA და სხვა. ასევე კომპანიაში დანერგილია 360 გრადუსიანი შეფასება, რომლის საპასუხოდ ინდივიდუალურად ხდება თანამშრომელთა IDP (Individual Development Plan) შედგენა და წლის განმავლობაში მასზე მუშაობა.

სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებისთვის და თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებისთვის, კომპანიაში ტარდება შიდა ორგანიზაციული კვლევები, რომელიც თანამშრომლების კმაყოფილებას იკვლევს. ამ კვლევებში დაფიქსირებული გამოწვევების საპასუხოდ, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებისა და მენეჯმენტის ჩართულობით დგება სამუშაო გეგმა.

### 3.1.2 სოციალური და დასაქმების საკითხები (გაგრძელება)

ჯანმრთელობასა და სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თანამშრომლებს უტარდებათ სავალდებულო ტრენინგები, რომელიც ასევე ითვალისწინებს სავალდებულო ტესტირებას. შესაბამისად თანამშრომელთა ამ საკითხში ჩართულობა და ინფორმირებულობა მაღალია.

### 3.1.3 ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები

თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა გენდერული მრავალფეროვნება და თანაბარი მოპყრობა დასაქმებისა და პროფესიულ სფეროში (მათ შორის ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, შრომისუნარობის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა შესაბამის საკითხებთან მიმართებით) თიბისი კაპიტალი განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამისათვის შინაგანაწესში ჩადებულია წესები რომელთა დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებაც კი, კერძოდ:

ა) კომპანია განუხრელად იცავს საერთაშორისო სამართლითა და ადგილობრივი კანონმდებლობით აღიარებულ ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის თანამშრომლის მიმართ ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გამოვლინებასა და აღკვეთას.

ბ) დაუშვებელია დისკრიმინაცია, შევიწროვება ან/და სექსუალური შევიწროვება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

### 3.1.4 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

შპს „თიბისი კაპიტალი“, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბროკერო კომპანია, მოქმედებს მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში, რაც მოიცავს როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობას, ასევე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობის მოთხოვნებს.

კომპანიაში დანერგილია შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს რეგულატორული მოთხოვნების ეფექტიანად შესრულებას. ჩამოყალიბებულია შესაბამისობის სამსახური, რომელიც მუდმივად ვითარდება კადრების გაძლიერების გზით. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა სისტემატურად განახლდება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. რეგულარულად ტარდება შიდა აუდიტი, რომლის შედეგებზე დაყრდნობით იხვეწება შიდა პროცესები და კონტროლის მექანიზმები. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ზედამხედველი ორგანო, პერიოდულად ახორციელებს შემოწმებებს, რის შედეგადაც შპს „თიბისი კაპიტალი“ ადგენს შესაბამის სამოქმედო გეგმებს და უზრუნველყოფს მათ დროულ და სრულ იმპლემენტაციას.

დამატებით, კომპანია ახორციელებს რეგულატორული და შესაბამისობის რისკების მუდმივ იდენტიფიკაციასა და მონიტორინგს, რათა პრევენციულად მართოს პოტენციური სამართლებრივი და რეპუტაციული ზიანი. თანამშრომლები პერიოდულად გადიან სპეციალიზებულ ტრენინგებს ეთიკის, შესაბამისობის, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობის მიმართულებით.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა რეგულირებულია ჯგუფის დონეზე დამტკიცებული პოლიტიკის ფარგლებში. კომპანიის შიდა რეგულაციები მოიცავს ქრთამის აღებისა და კორუფციული გარიგებების პრევენციის მექანიზმებს, მათ შორის: ინტერესთა კონფლიქტის მართვას, ანაზღაურების პოლიტიკას, კონტროლის სისტემებს და

ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. ასევე მოწესრიგებულია საჩუქრების მიღების, შემოწმებულობებისა და სპონსორობის საკითხები.

მმართველობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2026 წლის 31 მარტს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

მმართველი დირექტორი

ოთარ შარიქაძე